საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1049

06/11/2019

ქ. თბილისი

„შპს „კავკასიამშენი“-ს ცემენტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 20 ივნისის №ი-77 ბრძანების, „შპს „კავკასიამშენიზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 თებერვლის №2-70 ბრძანებისა და „შპს „კავკასიამშენი“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „კასპიბლოკი“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №2-99 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „კასპიბლოკის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმება.

2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „კავკასიამშენის“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა №27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 თებერვლის №2-70 ბრძანებით შპს „კავკასიამშენის“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. 2018 წლის 23 თებერვალს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „კავკასიამშენზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „კასპიბლოკს“.

შპს „კასპიბლოკის“ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანია გეგმავს დანადგარების დემონტაჟს და გასხვისებას. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „კასპიბლოკის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა)„შპს „კავკასიამშენი“-ს ცემენტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 20 ივნისის №ი-77 ბრძანება;

ბ)„შპს „კავკასიამშენიზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 თებერვლის №2-70 ბრძანება;

გ)„შპს „კავკასიამშენი“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „კასპიბლოკი“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №2-99 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კასპიბლოკს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასპიბლოკის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი